პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. წყალტუბო ---- დეკემბერი, 2024 წელი

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016373; 01/11/2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.

ბ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.

გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.

დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა.

ე) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია."

2.დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2-ით და დანართი N3-ით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობისაგან განსხვავებული დაფინანსების, მერიის მიერ მეტი წილის ან სრულად დაფინანსების შემთხვევაში განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს შესაბამისი კომისია.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №2

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.	90/10	90	10
2.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.	85/15	85	15
3.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.			
4.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა.			
5.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.			

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №3

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობისათვის თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.	90/10	90	10
2.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია.	85/15	85	15
3.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.			
4.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა.			
5.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა, პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.			

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

მოამზადა: ნ. მჟავია

შეთანხმებულია: გ. ყურაშვილი

ფ. გაგოშიძე

მ. ჩხეიძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824355124**
თარიღი: **20/12/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი ,,5" ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ადრესატი:

მირანდა მამისეიშვილი
ადმინისტრაციული სამსახური-იურიდიულ საკითხთა განყოფილება-მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-482432619**
თარიღი: **21/11/2024**

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა
განყოფილების უფროსის მ/ შ მირანდა მამისეიშვილს

ქალბატონო მირანდა,

გიგზავნით წყალტუბოს მუნმიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 ნოემბრის წერილს (თან ერთვის) რომელსაც თან ერთვის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ 2024 წლის 22 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი N 1 თან ერთვის) - ბინათმესაკუთრეტა ამხანაგობების განვითარების პროგრამის თანადაფინანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება ნაცვლად 85%-ისა განისაზღვროს 90%-ით.

გთხოვთ, უფლებამოისილების ფარგლებში მოამზადოთ ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ამ მიმართებით შესატანი ცვლილების პროექტი, შემდგომში მისი საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი შეათანხმეთ მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურთან აღნიშნული ცვლილების 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით.

დანართი: საკრებულოს წერილი და ფრაქციის სხდომის ოქმი.

პატივისცემით,

იონა ჯოჯუა

ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური-სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

განმარტებითი ბარათი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ,, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსების ხელშეწყობის მიზნით, რათა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია. აღნიშნული ცვლილებით თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაციის პროგრამით განისაზღვრება მერიის წილი - 90%, ხოლო ამხანაგობის წილი - 10%.

პატივისცემით,